ეჰლი სუნნეთის მიხედვით

თესბიჰ და ძვირფას ღამეებში შესასრულებელი

ნ ა მ ა ზ ე ბ ი

შეადგინა: ზურა ზოსიძე

მუსლიმთა ტრიბუნა

მწყალობელი და მოწყალე ალლაჰის სახელით

ქება-დიდება ალლაჰს სამყაროს ღმერთს. ხოლო ლოცვა და მშვიდობა მის (ალლაჰის) შუამავალს, მის (შუამავლის) ოჯახს მის მოდგმას და მასზე მიმყოლ საჰაბეებს და ყველას (მუსლიმანს).
ამის შემდეგ:

ჰადისები თესბიჰ ნამაზის შესახებ და მისი მისი ჰუქმი

عن ابن عباس رَضِيَ اللهُ عَنْهما، وأبي رافع رَضِىَ اللهُ عَنْه: [أنَّ رَسُولُ
اللهِ صَلَّي اللهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ قَالَ لِلْعَبَّاسِ بْنِ عَبْدِ الْمُطَّلِبِ رَضِىَ اللهُ عَنْهُ: يَا
عَبَّاسُ يَا عَمَّاهُ، أَ◌َ أُعْطِيكَ أَ◌َ أَمْنَحُكَ، أَ أَحْبُوكَ، بِكَ عَشْرَ خِصَالٍ، إِذْ أَنْتَ
فَعَلْتَ ذَلِكَ غَفَرَ اللهُ لَكَ ذَنْبَكَ أَوَّلَهُ وَآخِرَهُ، قَدِيمَهُ وَحَدِيثَهُ، خَطَأَهُ وَعَمْدَهُ،
صَغِيرُهُ وَكَبِيرُهُ، سِرَّهُ وَعَ◌َنِيَتَهُ، عَشْرَ خِصَالٍ أَنْ تُصَلِّي أَرْبَعَ رَكْعَاتٍ،
تَقْرَأُفِي كُلِّ رَكْعَةٍ فَاتِحَةَ الْكِتَابِ وَسُورَةً، فَإِذَا فَرَغْتَ مِنَ الْقِرَاءَةِ قُلْتَ:
سُبْحَانَ اللهِ، وَالْحَمْدُ للهِ، وَ◌َ إِلَهَ إِ◌َ اللهُ، وَاللهُ أَكْبَرُ خَمْسَ عَشْرَةَ مَرَّةً، ثُمَّ
تَرْكَعُ فَتَقُولُهَا وَأَنْتَ رَاكِعٌ عَشْراً ثُمَّ تَرفَعُ رَأسَكَ مِنَ الرُّكُوع فَتَقُولُهَا عَشْراً،
ثُمَّ تَهْوِى سَاجِداً فَتَقُولُهَا وَأَنْتَ سَاجِدٌ عَشْراً، ثُمَّ تَرْفَعُ رَأسَكَ مِنَ السُّجُودِ
فَتَقُولُهَا عَشْراً، ثُمَّ تسْجُدُ فَتَقُولُهَا عَشْراً، ثُمَ تَرَفَعُ رَأسَكَ فَتَقُولُهَا عَشْراً، فَذَلِكَ
خَمْسٌ وَسَبْعُونَ فِي كُلِّ رَكْعَةٍ، تَفْعَلُ ذَلِكَ فِي أرْبَعِ رَكَعَاتٍ، إِنِ اسْتَطَعْتَ أَنْ
تُصَلِّيهَا فِي كُلِّ يومٍ مَرَّةً فَافْعَلْ، وَإِ◌َّ فَفِي كُلِّ جُمُعَةٍ مَرَّةً، فَإِنْ لمْ تَفعَلْ فَفِي
كُلِّ شَهْرٍ مَرَّةً ، فَإِنْ لَمْ تَفْعَلْ فَفِي كُلِّ سَنَةٍ مَرَّةً، فَإِنْ لَمْ تَفْعَلْ فَفِي عُمُرِكَ
مَرَّةً]. أخرجه أبو داود عن ابن عباس والترمذي عن أبي رافع.

იბნ აბბასი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) აბბას ბინ აბდულმუტტალიბს უთხრა:

„ეი, აბბას! ეი, ბიძაჩემო! გინდა მოგცე ძვირფასი რამ? გინდა გაჩუქო? გინდა სიკეთე გიყო და გასწავლო ისეთი რამ, რითაც ალლაჰი ათი სახის ცოდვას გაპატიებს მიუხედავად იმისა პირველი იქნება თუ უკანასკნელი, ძველი იქნება თუ ახალი, შეცდომით ჩადენილი იქნება თუ შეგნებულად, დიდი იქნება თუ პატარა, ფარული იქნება თუ აშკარა? უნდა ილოცო ოთხი მუხლი, ყოველ მუხლზე უნდა იკითხო ფათიჰა და კიდევ ერთი სურა. როდესაც პირველი მუხლის საკითხავებს მორჩები, შემდეგ ფეხზე მდგომარე თხუთმეტჯერ იტყვი: „სუბჰანალლაჰი ველჰამდულილლაჰი ვე ლაა ილააჰე ილლალლაჰუ ვალლაჰუ ექბერ“ შემდეგ რუქუღს შეასრულებ და იქაც იგივეს იტყვი ათჯერ, შემდეგ რუქუღიდან წამოდგები და იგივეს გაიმეორებ ათჯერ, შემდეგ სეჯდეს შეასრულებ და იქაც იგივეს გაიმეორებ ათჯერ, შემდეგ სეჯდედან წამოდგები და იგივეს გაიმეორებ ათჯერ, შემდეგ ისევ სეჯდეს შეასრულებ და იგივეს გაიმეორებ ათჯერ, შემდეგ ისევ სეჯდედან წამოდგები და იგივეს გაიმეორებ ათჯერ. ბოლოს ერთ მუხლზე

წაკითხული თასბიჰების საერთო ჯამი იქნება სამოცდა თხუთმეტი, რაც ყოველ ოთხივე მუხლზე უნდა გაიმეორო. თუ შეძლებ ამგვარად დღეში ერთჯერ ილოცე; თუ ვერ შეძლებ, მაშინ ყოველ ჯუმა დღეს ერთჯერ; თუ ამასაც ვერ შეძლებ, მაშინ ყოველ თვეში ერთჯერ; თუ ამასაც ვერ შეძლებ, მაშინ წელიწადში ერთჯერ; თუ ამასაც ვერ შეძლებ, მაშინ სიცოცხლეში ერთჯერ.“

(*ებუ დავუდ, სუნენი, სალათი II, 29, ნომ: 1297.
*იბნი მაჯე, სუნენი, (იყამეთუს სალათი ვეს სუნნეთი ფიჰა, 190), I, 442, ნომ: 1387;
*იბნ ჰუზეიმე ,საჰიჰი, II, 223, ნომ: 1216;
*ტაბერანი, ელ მეჯუმულ ქებირ, XI, 194–195;
*ებუ იე’ლა, ელ ირშად ფი მაღრიფეთი ულემაი ჰადის, I, 327;
*ბეიჰაყი, სუნენულ ქუბრა, III, 51.)

ცნობილი ჰადისოლოგი იბნ ჰაჯერ ასყალანი თვლის რომ ჰადისი ჰასენია (კარგია)
(ელ ხასაალ ელ მუქფირათ 1/41)

ჰადისი სანდოა და მისი ლოცვა ნებაყოფილობითია (ნაფილეა) ხოლო მისი ჰიქმი სუნნეთი.

ჰანეფი მიზჰების სწავლულებიდან იბნ აბიდინი თვლის რომ სუნნეთია.

(წყარო: რედდულ მუჰთარ ‘ალაა დდურულ მუხთად შერჰ თენვირულ ებსარ ტ:2 წიგნი სელათი ბაბ თესბიჰ, გვ 471)

იბნ სალაჰი თვლის რომ მიღებულია
(წყარო: ნიჰააიათულ მუჰთააჯ ილაა შერჰულ მინჰააჯ ტ:2 გვ:123-124)

იმამი ნევევი და იმამი სუიუტი თვლის რომ მიღებულია
(წყარო: თეჰიფათულ ებრაარ ბინექით ელ ეზქაარ ელ ნევევი ლი სუიუტი ბაბ ეზქარ ელ თესბიჰ გვ:58-59)

აბდულლაჰ ბინ მუბარექი თვლის რომ მიღებულია
(წყარო: თეჰზიბუთ თეჰზიბ, II, 423–424)

იმამი აჰმედი თვლის რომ მიღებულია
(წყარო: მესაილ იმამ აჰმედ ბინ ჰანბელი გვ:89)

იბნ ყუდამე თვლის რომ მიღებულია
(წყარო: ელ მუღნიი იბნ ყუდამე ტ:1 გვ:437)

იმამი სავი თვლის რომ მიღებულია
(წყარო: ჰააშიე ელ სავიი ‘ალაა ელ შერჰულ საღიირ ტ:11 გვ:331)

ებუ ნუ’აიმი თვლის რომ მიღებულია
(წყარო: ელ ჰილიეთულ ევლიაა გვ:25-26)

რეღაიბის ნამაზის შესახებ ჰადისი და ჰუქმი

قَالَ رَسُولُ اللَّهِ (صلى الله عليه و آله) : “مَا مِنْ أَحَدٍ يَصُومُ يَوْمَ
الْخَمِيسِ أَوَّلَ خَمِيسٍ مِنْ رَجَبٍ ثُمَّ يُصَلِّي مَا بَيْنَ الْعِشَاءِ وَ الْعَتَمَةِ اثْنَتَيْ
عَشْرَةَ رَكْعَةً، فَإِذَا فَرَغَ مِنْ صَلَاتِهِ صَلَّى عَلَيَّ مَرَّةً، يَقُولُ: اللَّهُمَّ صَلِّ
عَلَى مُحَمَّدٍ وَ عَلَى آلِهِ، ثُمَّ يَسْجُدُ وَ يَقُولُ فِي سُجُودِهِ سَبْعِينَ مَرَّةً: سُبُّوحٌ
قُدُّوسٌ رَبُّ الْمَلَائِكَةِ وَ الرُّوحِ، ثُمَّ يَرْفَعُ رَأْسَهُ وَ يَقُولُ: رَبِّ اغْفِرْ وَ ارْحَمْ وَ
تَجَاوَزْ عَمَّا تَعْلَمُ إِنَّكَ أَنْتَ الْعَلِيُّ الْأَعْظَمُ، ثُمَّ يَسْجُدُ سَجْدَةً وَ يَقُولُ فِيهَا مَا
قَالَ فِي الْأُولَى، ثُمَّ يَسْأَلُ اللَّهَ حَاجَتَهُ فِي سُجُودِهِ فَإِنَّه تقضي”

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) თქვა:
“ვინც იმარხავს მეხუთე დღეს რეჯების თვის (პარასკევი დღე, იგივე რეჯების თვის პირველ პარასკევს) შემდეგ კი ილოცავს ძილისწინა ნამაზის (იასი ნამაზის) შემდეგ 12 მუხლ ნამაზს ილოცავს, ხოლო დასრულების შემდეგ კი 70-ჯერ “სელავათს” 70-ჯერ სეჯდის პოზიციაში “სუბუჰუნ ყუდუსუნ რაბბუ მელააიქი ვე რუუჰ” შემდეგ გასწორდება (სეჯდიდან) და იტყვის “რაბბი’ღფიირ ვე’რემ თეჯაავეზ ღამმა თეღლემუ ინნექე ენთე ღალიიულ ღაზიიმ” შემდეგ ისევ სეჯდეს მდგლმარეობას დაიბრუნდება და იტყვის იგივეს (70-ჯერ), შემდეგ კი ალლაჰს შევედრები და უეჭველად იქნები (ღვთისადმი) დახარჯული”

(რეზინ იბნ მუ’ავიე “თეჯრიდის-სიჰაჰ, აბდულყადირ გეილანი ელ ღუნიეთუტ-ტალიბინ 1/330-331, იმამი გაზალი იჰია ულუმუდდინ 1/237-238, იბნ ესირ ჯამი’ულ უსულ ნ:4268, იბნი სალაჰი ელ მუსაჯელე გვ:14-15, ზებიდი ითფაჰუს სადე 3/422-4223)

იმამი დეილემი თვლის რომ ჰადისი სანოდა (წყარო: მუსნედულ ფირდევს ნომ:3276)

იმამი იბნ ასაქირი თვლის რომ ჰადისი სანდოა (წყარო: მეღჯუმულ შუიუხ ნომ:210)

იბნ ჰაჯერ ასყალანი თვლის რომ ჰადისი სანოდა ხოლო ნამაზი სასარგებლო
(წყარო: თებიიინულ ღაჯიბ ნომ:35)

ჰადისს იხსენებს შევქანი წიგნ “ფევაიდულ მეჯმუღათ” (ქართ: “სასარგებლო კრებული”) ნომ: 47

ჰადისი სუსტია იბნ ესირისა და იბნ სალაჰის მიხედვით ხოლო იმამ გაზალისა და იმამ აბდულყადირ გეილანის მიხედვით კი სანდო და მისი ლოცვა მიღებულია.

ყადირის ნამაზის შესახებ ჰადისი და ჰუქმი

عن النبي صلى الله عليه وآله، قال: من صلّى ركعتين في ليلة القدر، فيقرأ في كل ركعة فاتحة الكتاب مرة، وقل هو الله أحد سبع مرات، فإذا فرغ يستغفر سبعين مرة...

შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) არის გადმოცემული რომ მან თქვა: "ვინც ილოცავს ორ მუხლ ნამაზს ყადირის ღამეს, და იკითხავს ყოველ მუხლზე ერთ ფაათიჰას (წიგნის ყურანის პირველ სურას) და იჰლასის სურას 7-ჯერ ხოლო დასრულების შემდეგ 70 ისთიღფარს იკითხავს..."

(მუჰამმედ ჰაქქი ჰაზინეთულ ესრარი გვ:39, იმამი გაზალი მუყაშეფეთულ ყულუბიდან აღებული ჰადისი და იჰია ულუმუდდინ სახელობის წიგნიდან)

[عن عبدالله بن عباس:] مَن صلّى أربعَ رَكَعاتٍ خلفَ العشاءِ الآخرةِ، قرأَ في الرَّكعتينِ الأولیینِ قُلْ يا أَيُّها الْكافِرُونَ، وَ قُل هُوَ اللَّهُ أَحَدٌ وقرأَ في الرَّكعتينِ الأخریینِ تَبارَكَ الَّذي بِيَدِهِ الْمُلْكُ وَهُوَ عَلى كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ وآلم وآلم السَّجدةَ كُتِبَ لَهُ كأربعِ رَكَعاتٍ من ليلةِ القدرِ

აბდულლაჰ ბინ აბბასისგან გადმოცემით შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) თქვა:

“ვინც ილოცავს 4 მუხლ ნამაზს ძილისწინა ნამაზის შემდგომ, პირვ მუხლზე ფათიჰას შემდეგ ქააფირუნის და იჰლასის სურა იკითხავს ხოლო მეორეზე თებარექელეზი ბიედიჰი მულქუ ვეჰუვე ღალაა ქული შეი ინ ყადირ (მულქის სურა აიეთი 1) და ელიფ ლა მიმს, დაეწერება მას (მადლი) ოთხი მუხლის ყადირის ღამეში.”

(ბაიჰაყი სუნენი ქუბრა 2/477 და ზეჰები ელ მუჰეზიბ 2/909 ასევე ჰეისემი მეჯმუღუზ ზევაიდ 2/233)

იმამი ბაიჰაყი ზეჰები და ჰეიზემი ჰადისს სანდოდ თვლიან

არსებობს გადმოცემები სადაც ეს ოთხი მუხლი ნამაზი სხვაგვარადაც ილოცება მაგ:
4 მუხლი პირველ მუხლზე 1 ფათიჰა 3 ყადირის სურე ხოლო მეორე მუხლზე 1 ფათიჰა 3 იჰლასის სურე, ასე ოთხი მუხლი.

ებუ ლეისი ამბობს: ყადირის ნამაზი ყველაზე ცოტა 2 მუხლი, საშუალო 100 მუხლი ხოლო ყველაზე ბევრი 1000 მუხლი ილოცება”
(იმამი ბურსევი თეფსირ რუჰულ ბეიანი 10/483)

მიღრაჯის ნამაზის შესახებ ჰადისი და ჰუქმი

عَنْ أَنَسٍ ، عَنْ رَسُولِ اللَّهِ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ ، قَالَ : " فِي رَجَبٍ لَيْلَةٌ يُكْتَبُ لِلْعَامِلِ فِيهَا حَسَنَاتُ مِائَةِ سَنَةٍ ، وَذَلِكَ لِثَلاثٍ بَقِينَ مِنْ رَجَبٍ ، فَمَنْ صَلَّى فِيهَا اثْنَتَيْ عَشْرَةَ رَكْعَةً يَقْرَأُ فِي كُلِّ رَكْعَةٍ فَاتِحَةَ الْكِتَابِ وَسُورَةً مِنَ الْقُرْآنِ ، يَتَشَهَّدُ فِي كُلِّ رَكْعَتَيْنِ وَيُسَلِّمُ فِي آخِرِهِنَّ ، ثُمَّ يَقُولُ : سُبْحَانَ اللَّهِ ، وَالْحَمْدُ لِلَّهِ ، وَلا إِلَهَ إِلا اللَّهُ ، وَاللَّهُ أَكْبَرُ ، مِائَةَ مَرَّةٍ ، وَيَسْتَغْفِرُ اللَّهَ مِائَةَ مَرَّةٍ ، وَيُصَلِّي عَلَى النَّبِيِّ صَلَّى اللَّهُ عَلَيْهِ وَسَلَّمَ مِائَةَ مَرَّةٍ...

ენესისგან გადმოცემით შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) თქვა “რეჯების თვეში ერთ ღამეს რომელშიც იწერება 100 წლის კარგი საქმეები (მადლი), ესაა მესამე საჩუქარი (ბეყიინ) რეჯების თვის, და თუ ვინმე ილოცავს (მიღრაჯის ღამეს) 12 მუხლ ნამაზს და ყველა მუხლზე იკითხავს ფათიჰას შემდეგ სურას ყურანიდან (მაგ: იჰლასი), სელამის მიცემით დასრულების შემდეგ კი იკითხავს: 100-ჯერ “სუბჰანელლაჰი ველჰემდულილაჰი ვე ლაა ილაჰე ილელლაჰუ ველლაჰუ ექბერ…” შემდეგ ისთიღფარსა და სალავათს 100-ჯერ…”

(ბეიჰაყი ფედაილულ ევყათი ნ:17 გვ:97-98, შუაბულ იმანი ნ:3531, იბნ ასაქირ ელ ემალი ფედაილულ რეჯებ გვ:6, იბნ ჰაჯერი თებინუნ ეჯებ გვ:59, სუიუტი ჯამიულ ჯევამი 1/591, თეფსირ დურულ მენსურ 4/186 1/591, ალი ელ მუთთექი ქენზულ უმმალი ნ:35170)

ჰადისის სწავლულებიდან იმამი სუიუტი და იმამი იბნ ჰაჯერ ასყალანი ჰადისს სანდოდ თვლიან, ასევე ბაიჰაყიც და ალი ელ მუთთექიც.
მისი ლოცვა სუნნეთია.

ბერათის ნამაზის შესახებ ჰადისი და ჰუქმი

حَدِيثُ عَلِيِّ. رَأَيْت رَسُول الله لَيْلَةَ النِّصْفِ قَامَ فَصَلَّى أَرْبَعَ عَشْرَةَ رَكْعَةً،
ثُمَّ جَلَسَ بَعْدَ الْفَرَاغ فقَرَأَ بِأُمِّ الْقُرْآنِ أَرْبَعَ عشرَة مَرَّةً وَقُلْ هُوَ اللَّهُ
أَحَدٌ أَربع عشرَة مرّة وَقل أَعُوذُ بِرَبِّ الْفَلَقِ أَرْبَعَ عَشْرَةَ مرّة وَقل أَعُوذُ
بِرَبِّ النَّاسِ أَرْبَعَ عَشْرَةَ مرّة، وَآيَةَ الْكُرْسِيِّ مرّة، وَلَقَد جَاءَكُم رَسُول...

ალისგან გადმოცემით შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა იყოს მასზე) თქვა:
“ვინც შაღბანის თვის მე-15-ე დღეს (თვის ნახევარში) ილოცავს 14 მუხლ ნამაზს, შემდეგ დაჯდება და იკითხავს 14-ჯერ ფათიჰას, 14-ჯერ იჰლასის სურას, 14-ჯერ სურა ფელეყი, 14-ჯერ სურა ნაასი, 14-ჯერ აიეთელქურსს და “ლეყედ ჯაა”-ს (თევბეს ბოლო აიეთები)…”

(სუიუტი ელ ლე’ალი 2/58
ბეიჰაყი შუაბულ იმანი ნომ: 3841
იმამი გაზალი იჰია ულუმუდდინ 1/203,
აბდულყადირ გეილანი ღუნიეთუტ-ტალიბინ 1/348-349, ებულ ფერეჯ იბნ ჯევზი ქითაბულ ნურ ნ:1575, ბურსევი რუჰულ ბეიანი 8/403,)

იმამი სუიუტი ჰადისს თვლის სუსტად და იგი არ ეთანხმება რომ იგი არის მევზუღი, იმამი ბაიჰაყი სანდოდ თვლის, იმამი გაზალი და აბდულყადირ გეილანი თვლის რომ ჰადისი სანდოა და ლოცვა სასარგებლოა.